სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის

სოფ. ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლის

დირექტორს ბატონ ზიათხან სარდაროვს

ბატონო ზიათხან,

თქვენი 2017 წლის 28 ნოემბრის N1444793 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ჩვენ მიერ 2017 წლის 28 ივლისს შეფასებული ბოლნისის რაიონის სოფელ ფოლადაურში მდებარე სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული სოფელ ფოლადაურის დაწყებითი სკოლის 32 მ² შენობის დემონტაჟის შემდგომ ნარჩენი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება, 2017 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, არის უცვლელი.

დემონტაჟის შემდგომ ნარჩენი მეორადი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა გაყიდვათა პირდაპირი შედარების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ქონების შეფასებას ბაზარზე არსებულ იდენტურ ქონებათა გაყიდვის ან შეთავაზებების ანალიზს. შესწავლილ იქნა პირველ რიგში, ბოლნისის რაიონში მდებარე სავაჭრო ობიექტებში მეორადი სამშენებლო მასალების ფასები, რის შემდეგაც მოხდა მოპოვებული ინფორმაციის მახასიათებლების დამუშავება და ანალიზი, ხოლო შემდგომ ეტაპზე შესწორებების შეტანა საბოლოო, სავარაუდო დემონტაჟის შემდგომ ნარჩენი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულების განსაზღვრაში.

გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით ფართის ხელახალი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით არ შეიცვალა შესაფასებელი ქონების ღირებულება.

ამრიგად ზემოთ მოცემული განხილვის საფუძველზე, ჩვენი აზრით, შესაფასებელი უძრავ-მოძრავი ქონების წლიური საფასური 2017 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით არის კვლავ 1500 ლარი, კომუნალური გადასახადების ჩათვლით.

პატივისცემით,

შპს „აუდიტი-ბოლნისი"-ს

დირექტორი: / ალაგარდაშვილი/